

2024

შპს „კორეან ელექტრონიკსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ძირითადი საქმიანობა.....	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
7. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	17
8. მარაგები.....	17
9. გაცემული სესხები	18
10. ძირითადი საშუალებები	19
11. სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	20
12. მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიღებული სესხები	21
14. მიღებული ავანსები	23
15. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა.....	23
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
17. კაპიტალი.....	23
18. ამონაგები.....	24
19. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	24
20. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი.....	24
21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	25
22. არასაოპერაციო ხარჯი	25
23. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი).....	25
24. მოგების გადასახადის ხარჯი.....	25
25. პირობითი ვალდებულებები	26
26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	26
27. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	26
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27
მმართველობის ანგარიშგება.....	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კორეან ელექტრონიკსი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კორეან ელექტრონიკსი“-ს და მისი შვილობილი კომპანიის შპს „რეალთი ჯორჯია“-ს(შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 9,334,709 ლარით. ჯგუფს არ გაუკეთებია აღნიშნული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების გაანგარიშება და მოთხოვნის გაუფასურების ანალიზი. რადგან აღნიშნული ფინანსური აქტივის გადახდის ვადა განსაზღვრული არ არის კონკრეტულ თარიღში ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აღნიშნული ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული ფინანსური აქტივების ღირებულებაზე აღნიშნული თარიღისთვის, შედეგად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ჯგუფის აღნიშნული სხვა აქტივებში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ჩვენ არ დავნიშნულვართ აუდიტორებად 2025 წლამდე, საანგარიშგებოს პერიოდთან მიახლოებულ თარიღამდე. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების არსებობასა, სისრულისა და მდგომარეობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს 2024 წლის ოპერაციების ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაზე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგები მონაწილეობენ 2024 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ასევე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ასევე მარაგების ნაწილზე რომელიც მოცემულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფი აღრიცხავს იმპორტირებულ მარაგებს მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც ისინი ფაქტობრივად შემოდიან საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული პრაქტიკა არ ითვალისწინებს საკუთრების გადაცემის რეალურ წერტილს, რომელიც შეიძლება დადგეს გაცილებით ადრე – გადაზიდვის პირობების შესაბამისად. ჩვენ მოვიპოვეთ პირველადი დოკუმენტაცია შერჩეულ მარაგებზე და გამოვავლინეთ, რომ მარაგების ღირებულება არ არის აღრიცხული ინვოიტურის მოთხოვნების შესაბამისად. იმპორტირებული მარაგების მოცულობიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა რა გავლენას იქონიებდა ზემოხსენებული აღრიცხვის მიდგომა მარაგების ღირებულებაზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით, ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით მარაგების ღირებულების სისწორეზე, შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგების ღირებულებაში ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით, ასევე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (*ბესს*) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და *ბესს*-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანარი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

აუდიტის სხვა გარემოებები

ჯგუფის წინა წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არააუდიტირებულია. მიმდინარე ანგარიშგება - 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, არის პირველი ანგარიშგება რომლის აუდიტიც განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუმცა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 510-ის (საწყისი აუდიტის სამუშაოები - საწყისი ნაშთები) მოთხოვნები შესრულებულია იმდენად, რომ დავრწმუნდეთ საწყისი მაჩვენებლები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია წაკითხული უნდა იქნას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის აუდიტორის ანგარიშთან ერთად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე,



Global

INDEPENDENT
ALLIANCE MEMBER

Cora Consulting LLC is an independent alliance member of CLA Global. See CLAGlobal.com/disclaimer.

ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

31 ოქტომბერი 2025

თბილისი, საქართველო

ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:


- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ღუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

31 ოქტომბერი 2025

თბილისი, საქართველო



2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
გრძელვადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	311,508	264,435	286,530
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,261,120	5,859,591	5,715,673
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7	1,844,265	1,928,865	109,954
მარაგები	8	14,161,965	5,662,280	2,515,694
გაცემული სესხები	9	212,017	55,371	-
სულ მიმდინარე აქტივები		21,790,875	13,770,542	8,627,851
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	338,496	293,818	266,449
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	11	9,334,709	4,204,146	3,404,146
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,673,205	4,497,964	3,670,595
სულ აქტივები		31,464,080	18,268,506	12,298,446
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	12	7,254,481	1,574,664	1,642,867
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	1,634,366	101,519	364,207
მიღებული ავანსები	14	2,179,419	2,386,926	270,192
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	15	105,006	78,667	166,542
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	7,522,201	5,806,653	3,595,694
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,695,473	9,948,429	6,039,502
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	4,983,482	3,190,872	2,421,252
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,983,482	3,190,872	2,421,252
სულ ვალდებულებები		23,678,955	13,139,301	8,460,754
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	17	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		7,784,925	5,129,005	3,837,492
სულ კაპიტალი		7,785,125	5,129,205	3,837,692
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		31,464,080	18,268,506	12,298,446

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

გიორგი ქიძინიძე

თბილისი, საქართველო

31 ოქტომბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
გრძელვადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	311,508	264,435	286,530
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,261,120	5,859,591	5,715,673
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7	1,844,265	1,928,865	109,954
მარაგები	8	14,161,965	5,662,280	2,515,694
გაცემული სესხები	9	212,017	55,371	-
სულ მიმდინარე აქტივები		21,790,875	13,770,542	8,627,851
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	338,496	293,818	266,449
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	11	9,334,709	4,204,146	3,404,146
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,673,205	4,497,964	3,670,595
სულ აქტივები		31,464,080	18,268,506	12,298,446
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	12	7,254,481	1,574,664	1,642,867
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	1,634,366	101,519	364,207
მიღებული ავანსები	14	2,179,419	2,386,926	270,192
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	15	105,006	78,667	166,542
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	7,522,201	5,806,653	3,595,694
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,695,473	9,948,429	6,039,502
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	4,983,482	3,190,872	2,421,252
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,983,482	3,190,872	2,421,252
სულ ვალდებულებები		23,678,955	13,139,301	8,460,754
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	17	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		7,784,925	5,129,005	3,837,492
სულ კაპიტალი		7,785,125	5,129,205	3,837,692
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		31,464,080	18,268,506	12,298,446

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
გიორგი ქიძინიძე
თბილისი, საქართველო
31 ოქტომბერი 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	18	58,986,560	29,131,964
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19	(51,243,808)	(24,632,552)
საერთო მოგება		7,742,752	4,499,412
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	20	(1,681,200)	(1,197,781)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21	(604,270)	(558,642)
საოპერაციო მოგება		5,457,282	2,742,989
არასაოპერაციო ხარჯი	22	(108,392)	(542,994)
არასაოპერაციო შემოსავალი		14,003	231
საპროცენტო შემოსავალი	9	15,839	223
საპროცენტო ხარჯი	12	(769,351)	(612,338)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	23	(572,655)	2,683
მოგება დაბეგვრამდე		4,036,726	1,590,794
მოგების გადასახადის ხარჯი	24	-	-
წლის წმინდა მოგება		4,036,726	1,590,794
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,036,726	1,590,794

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

გიორგი ქიმიშიძე

თბილისი, საქართველო

31 ოქტომბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	18	58,986,560	29,131,964
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19	(51,243,808)	(24,632,552)
საერთო მოგება		7,742,752	4,499,412
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	20	(1,681,200)	(1,197,781)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21	(604,270)	(558,642)
საოპერაციო მოგება		5,457,282	2,742,989
არასაოპერაციო ხარჯი	22	(108,392)	(542,994)
არასაოპერაციო შემოსავალი		14,003	231
საპროცენტო შემოსავალი	9	15,839	223
საპროცენტო ხარჯი	12	(769,351)	(612,338)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	23	(572,655)	2,683
მოგება დაბეგვრამდე		4,036,726	1,590,794
მოგების გადასახადის ხარჯი	24	-	-
წლის წმინდა მოგება		4,036,726	1,590,794
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,036,726	1,590,794


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

გიორგი ქიძინიძე

თბილისი, საქართველო

31 ოქტომბერი 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

	საწესდებო კაპიტალი (შენშვნა 17)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2023	200	3,837,492	3,837,692
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,590,794	1,590,794
გამოცხადებული დივიდენდები	-	(299,281)	(299,281)
31 დეკემბერი 2023	200	5,129,005	5,129,205
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,036,726	4,036,726
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,380,806)	(1,380,806)
31 დეკემბერი 2024	200	7,784,925	7,785,125

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

გიორგი ქიმიანიძე

თბილისი, საქართველო

31 ოქტომბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი (შენშვანა 17)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2023	200	3,837,492	3,837,692
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,590,794	1,590,794
გამოცხადებული დივიდენდები	-	(299,281)	(299,281)
31 დეკემბერი 2023	200	5,129,005	5,129,205
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,036,726	4,036,726
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,380,806)	(1,380,806)
31 დეკემბერი 2024	200	7,784,925	7,785,125

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

გიორგი ქიშინიძე

თბილისი, საქართველო

31 ოქტომბერი 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		4,036,726	1,590,794
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	53,358	49,229
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	6	13,552	24,034
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	6	-	(2,791)
მარაგების გაუფასურების რეზერვი	8	144,229	140,838
მარაგების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	8	(46,615)	(4,837)
საპროცენტო ხარჯი	12	769,351	612,338
ფინანსური შემოსავალი	9	(11,500)	(223)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	23	572,603	(2,683)
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		5,531,704	2,406,699
საბრუნვ კაპიტალში ცვლილებებამდე			
შემცირება / (ზრდა) მარაგებში		(8,597,299)	(3,282,587)
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	548,581	(136,518)
შემცირება/(ზრდა) გადახდილი ავანსებში	7	84,599	(1,818,911)
ზრდა მიღებულ ავანსებში	14	(207,507)	2,116,734
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	16	1,592,238	2,216,011
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	15	26,339	(87,875)
ზრდა/(შემცირება) სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	13	1,532,847	(262,688)
გადახდილი პროცენტი		(689,188)	(610,828)
ზრდა სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების	11	(5,130,563)	(800,000)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(5,308,249)	(259,963)
პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე			
მიღებული პროცენტი		2,713	247
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(5,305,536)	(259,716)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(98,036)	(76,598)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(98,036)	(76,598)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის აღება	12	13,021,669	4,736,840
მიღებული სესხის ძირის დაფარვა	12	(6,067,917)	(3,954,257)
გაცემული სესხის დაბრუნება	9	738,728	-
სესხის გაცემა	9	(886,586)	(55,395)
გადახდილი დივიდენდები	24	(1,380,806)	(299,281)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		5,425,088	427,907
ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა		21,516	91,593
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		25,557	(113,688)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5	264,435	286,530
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		311,508	264,435

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

გიორგი ქიძინიძე

თბილისი, საქართველო

31 ოქტომბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		4,036,726	1,590,794
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	53,358	49,229
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	6	13,552	24,034
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	6	-	(2,791)
მარაგების გაუფასურების რეზერვი	8	144,229	140,838
მარაგების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	8	(46,615)	(4,837)
საპროცენტო ხარჯი	12	769,351	612,338
ფინანსური შემოსავალი	9	(11,500)	(223)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	23	572,603	(2,683)
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		5,531,704	2,406,699
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე			
შემცირება / (ზრდა) მარაგებში		(8,597,299)	(3,282,587)
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	548,581	(136,518)
შემცირება/(ზრდა) გადახდილ ავანსებში	7	84,599	(1,818,911)
ზრდა მიღებულ ავანსებში	14	(207,507)	2,116,734
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	16	1,592,238	2,216,011
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	15	26,339	(87,875)
ზრდა/(შემცირება) სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	13	1,532,847	(262,688)
გადახდილი პროცენტი		(689,188)	(610,828)
ზრდა სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების	11	(5,130,563)	(800,000)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(5,308,249)	(259,963)
პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე			
მიღებული პროცენტი		2,713	247
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(5,305,536)	(259,716)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(98,036)	(76,598)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(98,036)	(76,598)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის აღება	12	13,021,669	4,736,840
მიღებული სესხის ძირის დაფარვა	12	(6,067,917)	(3,954,257)
გაცემული სესხის დაბრუნება	9	738,728	-
სესხის გაცემა	9	(886,586)	(55,395)
გადახდილი დივიდენდები	24	(1,380,806)	(299,281)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		5,425,088	427,907
ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა		21,516	91,593
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		25,557	(113,688)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5	264,435	286,530
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		311,508	264,435

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

გიორგი ქიძინიძე

თბილისი, საქართველო

31 ოქტომბერი 2025



1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ჯგუფი და მისი ოპერაციები

„კორეან ელექტრონიკსი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2017 წლის 04 სექტემბრის შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით: 406221921. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი X, კორპუსი "ჟ", ფართი N28.

შპს „კორეან ელექტრონიკსის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და სხვა წვრილი ტექნიკით ვაჭრობა, კომპანია არის ექსკლუზიური პარტნიორი ჰიუნდაის და აკაის ბრენდების. კომპანია თავის საქმიანობას ეწევა თბილისში, როგორც საბითუმო ვაჭრობით, ასევე საოპერაციო იჯარის ფარგლებში სარგებლობის უფლებით მიღებულ სავაჭრო ფართში.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის გიორგი ქიძინიძე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის გიორგი ქიძინიძე (პ.ნ. 01008048773).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიას და მის შვილობილ კომპანიას (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“). ჯგუფის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და სხვა წვრილი ტექნიკით ვაჭრობა, კომპანია არის ექსკლუზიური პარტნიორი ჰიუნდაის და აკაის ბრენდების. კომპანია თავის საქმიანობას ეწევა თბილისში, როგორც საბითუმო ვაჭრობით, ასევე საოპერაციო იჯარის ფარგლებში სარგებლობის უფლებით მიღებულ სავაჭრო ფართში.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შემდეგ შვილობილ საწარმოს ფლობს:

შვილობილი საწარმო	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს რეალთი ჯორჯია	100%	100%
სულ:	100%	100%

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის განაცხადი

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის. კომპანია წინა წლებში არ მოუმზადებია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ეს არის პირველი წელი როდესაც კომპანია ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მისი ზომითი კატეგორიიდან გამომდინარე იყენებს მსს ფასს-ს. შესაბამისად მიმდინარე ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა მსს ფასს-ის საფუძველზე, 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“ მოთხოვნების შესაბამისად და გამოიყენა ყველა ის მიდგომა და პოლიტიკა, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება მოითხოვს წარდგეს სულ მცირე ერთი შესადარისი პერიოდი, კომპანიამ წარადგინა ორი შესადარისი პერიოდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის, რაც შესაბამისობაშია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების მოთხოვნებთან. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

(დ) კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებსა და ვალდებულებებს. შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც მშობელ კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც მშობელი კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეითება მთლიანად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი (GEL, ლ), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 GEL / 1 USD	2.8068	2.6894
1 GEL / 1 EURO	2.9306	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. ჯგუფის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების

ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 -365 დღე	1 წელზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	50%	100%

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15
ოფისის აღჭურვილობა	20
სატრანსპორტო საშუალებები	20

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- ჯგუფის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველაწარმოადგენელი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (N5092-III) საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის ნაწილიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2016 წლის 1 ივნისიდან, ხოლო მოგების გადასახადთან დაკავშირებული ცვლილებები კი ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, რომელიც

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ცვლილების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც განაწილებული იქნა საქართველოს რეზიდენტ კომპანიებზე (ვისაც ცვლილება შეეხო). დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის გამოანგარიშება ხდება განაწილებული თანხის 0.85-ზე გაყოფით. ამასთან, თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შემდგომი პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი. წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. ჯგუფის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი ჯგუფის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება ჯგუფის საკუთარ კაპიტალში ჯგუფის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით. დივიდენდები აღიარდება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ამონაგები

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

ჯგუფი შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია ჯგუფის მიერ გაცემული ფასდათმობები. ჯგუფის მთლიანი შემოსავალი აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე.

ჯგუფის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქტის რეალიზაციის მომენტში მასზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნების და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გაყიდული პროდუქციის უკან დაბრუნება და შესაბამისი ანაზღაურება

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ჯგუფი თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფის დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ხელფასები
- წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენის ანაზღაურება
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. ჯგუფი ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

იჯარა

საოპერაციო იჯარა- ჯგუფი როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გმოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ჯგუფი ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახავს მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

4. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს,

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი რეგულარულად გადახედავს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურების, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურებას მოგება-ზარალში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია ჯგუფის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ ჯგუფის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტების 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	8,565	10,423
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	257,461	187,581
ფული გზაში	44,480	66,300
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,002	131
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები:	311,508	264,435

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები ორგანიზაციებისგან	4,138,518	3,110,924
მოთხოვნები დილერებისგან	1,199,324	2,811,837
გაუფასურების რეზერვი	(76,722)	(63,170)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	5,261,120	5,859,591

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

გაუფასურების ანარიცხი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(41,927)
რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	(24,034)
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	2,791
გაუფასურების ანარიცხი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(63,170)
რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	(13,552)
გაუფასურების ანარიცხი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(76,722)

7. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

წინასწარ გადახდილი ავანსები წარმოიქმნება უცხოელ მომწოდებლებთან ხელშეკრულების საფუძველზე საქონლის მიწოდებამდე გადახდის შედეგად, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,844,265 ლარს (31.12.2023 წლისთვის 1,928,865 ლარს).

8. მარაგები

ჯგუფის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა	11,868,657	3,957,715
სამომხმარებლო ტექნიკა	1,204,509	1,144,488
წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა	951,531	515,891
სხვა მარაგები	421,074	230,378
მარაგების რეზერვი	(283,806)	(186,192)
სულ მარაგები:	14,161,965	5,662,280

მარაგების რეზერვი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2024	2023
მარაგების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	(186,192)	(50,191)
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	46,615	4,837
მარაგების რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(144,229)	(140,838)
მარაგების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(283,806)	(186,192)

აღნიშნული მარაგები არ არის დატვირთული ვალდებულების უზრუნველყოფით მესამე მხარის სასარგებლოდ.

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. გაცემული სესხები

ჯგუფის გაცემული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მსესხებელი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საწყისი თანხა	საპროცენტო განაკვეთი	ნაშთი 12/31/2024
კომპანია N1	ლარი	29/12/2023	29/12/2024	300,000	5%	203,200
სულ გაცემული სესხის ძირი						203,200
გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტის ნაშთი						8,817
სულ გაცემული სესხები						212,017

ჯგუფის გაცემული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მსესხებელი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საწყისი თანხა	საპროცენტო განაკვეთი	ნაშთი 12/31/2023
კომპანია N1	ლარი	29/12/2023	29/12/2024	300,000	5%	15,000
ფიზიკური პირი N1	აშშ დოლარი	29/12/2023	29/12/2024	15,000	7%	40,341
სულ გაცემული სესხის ძირი						55,341
გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტის ნაშთი						30
სულ გაცემული სესხები						55,371

გაცემული სესხების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შემდეგია:

	2024	2023
წლის საწყისი ნაშთი	55,371	-
სესხის გაცემა	886,586	55,395
სესხის ძირის მიღება	(738,992)	-
სესხის პროცენტის დარიცხვა	11,500	223
მიღებული დარიცხული პროცენტი	(2,713)	(193)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	265	(54)
წლის საბოლოო ნაშთი	212,017	55,371

ჯგუფს აქვს გაცემული მოკლევადიანი სესხები, ერთ სესხთან დაკავშირებით არ არსებობს ვადის გაგრძელების შესახებ წერილობითი შეთანხმება მხარეებს შორის. ჯგუფი განაგრძობს პროცენტის მიღებას, შესაბამისად ითვლება რომ ხელშეკრულების ვადა არის გაგრძელებული, რადგან არ არსებობს სამართლებრივი პრეტენზია მხარეებს შორის. მსგავსი გაცემული სესხები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიან გაცემულ სესხებად.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	შენიშნა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	69,234	113,236	21,240	124,625	-	328,335
შეძენა	-	-	4,380	835	71,383	76,598
31 დეკემბერი 2023	69,234	113,236	25,620	125,460	71,383	404,933
შეძენა	-	-	13,206	-	84,830	98,036
31 დეკემბერი 2024	69,234	113,236	38,826	125,460	156,213	502,969
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2022	(29,721)	(2,904)	(10,591)	(18,670)	-	(61,886)
ცვეთის ხარჯი	(1,976)	(16,541)	(6,124)	(17,648)	(6,940)	(49,229)
31 დეკემბერი 2023	(31,697)	(19,445)	(16,715)	(36,318)	(6,940)	(111,115)
ცვეთის ხარჯი	(1,877)	(14,061)	(6,376)	(14,220)	(16,824)	(53,358)
31 დეკემბერი 2024	(33,574)	(33,506)	(23,091)	(50,538)	(23,764)	(164,473)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	37,537	93,791	8,905	89,142	64,443	293,818
31 დეკემბერი 2024	35,660	79,730	15,735	74,922	132,449	338,496

ჯგუფს არ აქვს მესამე მხარის სასარგებლოდ გირავნობით დატვირთული ძირითადი საშუალებები.

11. სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ჯგუფის სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მისაღები ფინანსური აქტივი	9,334,709	4,204,146
სხვა გრძელვადიანი აქტივი სულ	9,334,709	4,204,146

ჯგუფის სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,634,366	101,519
სულ სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,634,366	101,519

ჯგუფის დაკავშირებული მხარის მიმართ დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი. ამ პროცესის ფარგლებში, შპს ჯგუფმა მოახდინა დაკავშირებული მხარის ფინანსური ვალდებულებების გამოსყიდვა სასყიდლიანი წესით და აღიარა შესაბამისი ფინანსური აქტივები. ჯგუფმა შეიძინა დაკავშირებული მხარის კრედიტორული ვალდებულებები შემდეგი ღირებულებით: 2022 წელს 1,656,712 ლარით, 2023 წელს 800,000 ლარით, ხოლო 2024 წელს 5,130,563 ლარით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7,587,276 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი 2,456,713 ლარი), ასევე ჯგუფს აქვს იგივე დაკავშირებული მხარისგან მისაღები დებიტორული დავალიანება, რომელიც შეადგენს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,747,433 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი 1,747,433 ლარი), რომელიც რეაბილიტაციის პროცესის ფარგლებში უნდა ანაზღაურდეს 2028 - 2023 წლებში. ჯგუფის სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ნაშთები 31 დეკემბერი 2024 და 31 დეკემბერი 2023 წლების მდგომარეობით შედგება იმ კონტრაგენტებზე გადასახდელი თანხებისგან რომლის დებიტორული დავალიანებაც გადაეცის დაკავშირებული მხარისგან და ჯერ არ არის ჩაფარული სრულად აღნიშნული პერიოდისთვის. მოთხოვნები კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური აქტივები, რომელიც აღირიცხება ფასნამატისა და საპროცენტო განაკვეთის გარეშე. დაკავშირებული მხარე ეტაპობრივად მოახდენს მოთხოვნილი თანხების ანაზღაურებას გრძელვადიანი მოთხოვნის სახით, დაფარვის ვადა რეაბილიტაციის გეგმის საფუძველზე განსაზღვრულია 2028-2030 წლები.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიღებული სესხები

კომპანიის აქვს მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გამსესხებელი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	სესხის თანხა	საპროცენტო განაკვეთი	ნაშთი 31 დეკემბერი, 2024
ფიზიკური პირის სესხი N1	აშშ დოლარი	12/12/2018	2/10/2026	120,000	10%	313,800
ფიზიკური პირის სესხი N14	აშშ დოლარი	11/1/2024	11/1/2025	500,000	9%	2,098,630
იურიდიული პირის სესხი N3	აშშ დოლარი	12/31/2024	12/31/2025	50,000	24%	128,271
ფიზიკური პირის სესხი N8	აშშ დოლარი	11/27/2024	1/1/2026	344,100	9%	965,820
ფიზიკური პირის სესხი N3	აშშ დოლარი	2/23/2022	2/23/2023	250,000	10.53%	701,700
ფიზიკური პირის სესხი N4	აშშ დოლარი	10/1/2022	2/1/2025	32,362	10%	90,834
ფიზიკური პირის სესხი N5	აშშ დოლარი	11/8/2022	2/1/2024	15,000	12%	21,051
ფიზიკური პირის სესხი N6	აშშ დოლარი	7/25/2023	7/25/2024	9,011	12%	25,292
ფიზიკური პირის სესხი N7	აშშ დოლარი	9/11/2023	2/1/2024	21,800	10%	100,764
ფიზიკური პირის სესხი N15	ლარი	11/1/2024	11/1/2025	350,000	11%	350,000
ფიზიკური პირის სესხი N16	აშშ დოლარი	3/12/2024	3/12/2025	165,000	10%	1,684,080
იურიდიული პირის სესხი N4	აშშ დოლარი	3/13/2024	3/13/2025	1,000,000	10%	842,040
ფიზიკური პირის სესხი N12	აშშ დოლარი	11/27/2024	1/1/2026	100,000	15%	287,150
ფიზიკური პირის სესხი N10	აშშ დოლარი	11/9/2022	11/9/2025	150,000	12%	421,020
კომერციული ბანკის სესხი N1	აშშ დოლარი	3/31/2023	3/31/2026	133,968	11.84%	174,289
ფიზიკური პირის სესხი N13	აშშ დოლარი	11/1/2024	11/1/2025	500,000	20%	1,403,400
კომერციული ბანკის სესხი N2	აშშ დოლარი	5/31/2024	5/6/2027	705,000	9%	1,682,986
კომერციული ბანკის სესხი N2	აშშ დოლარი	5/31/2024	5/31/2027	295,000	9%	704,228
იურიდიული პირის სესხი N5	ლარი	12/11/2019	21/07/2025	88,500	24%	42,000
სულ მიღებული სესხები						12,037,355
სულ გადასახდელი პროცენტები						200,609
სულ მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი						12,237,964
მოკლევადიანი სესხები						7,254,481
გრძელვადიანი სესხები						4,983,482
სულ გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები						12,237,963

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიღებული სესხები (გაგრძელება)

გამსესხებელი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	სესხის თანხა	საპროცენტო განაკვეთი	ნაშთი 31 დეკემბერი, 2023
ფიზიკური პირის სესხი N1	აშშ დოლარი	12/12/2018	2/10/2026	120,000	10%	275,126
იურიდიული პირის სესხი N1	აშშ დოლარი	1/10/2023	1/10/2024	350,000	24%	126,421
ფიზიკური პირის სესხი N2	აშშ დოლარი	2/23/2022	2/23/2023	150,000	10.53%	403,410
ფიზიკური პირის სესხი N3	აშშ დოლარი	2/23/2022	2/23/2023	250,000	10.53%	672,350
ფიზიკური პირის სესხი N4	აშშ დოლარი	10/1/2022	2/1/2025	32,362	10%	87,034
ფიზიკური პირის სესხი N5	აშშ დოლარი	11/8/2022	2/1/2024	15,000	10%	22,322
ფიზიკური პირის სესხი N6	აშშ დოლარი	7/25/2023	7/25/2024	9,011	12%	24,234
ფიზიკური პირის სესხი N7	აშშ დოლარი	9/11/2023	2/1/2024	21,800	10%	58,629
ფიზიკური პირის სესხი N8	ლარი	10/15/2023	10/15/2024	28,930	12%	28,930
იურიდიული პირის სესხი N2	აშშ დოლარი	10/18/2023	10/18/2024	300,000	13.00%	131,000
ფიზიკური პირის სესხი N9	აშშ დოლარი	10/21/2019	10/21/2024	100,000	13%	110,265
კომერციული ბანკის სესხი N2	აშშ დოლარი	11/4/2022	11/5/2025	700,000	11%	1,263,350
ფიზიკური პირის სესხი N10	აშშ დოლარი	11/9/2022	11/9/2025	150,000	12%	403,410
კომერციული ბანკის სესხი N1	აშშ დოლარი	3/31/2023	3/31/2026	133,968	11.84%	281,744
კომერციული ბანკის სესხი N2	აშშ დოლარი	6/30/2023	1/27/2026	200,000	10.90%	472,816
ფიზიკური პირის სესხი N11	აშშ დოლარი	10/20/2023	10/20/2024	90,000	12.00%	242,047
იურიდიული პირის სესხი N3	ლარი	12/11/2019	21/07/2025	88,500	24%	42,000
სულ მიღებული სესხები						4,645,088
სულ გადასახდელი პროცენტები						120,448
სულ მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი						4,765,536
მოკლევადიანი სესხები						1,574,664
გრძელვადიანი სესხები						3,190,872
სულ გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები						4,765,536

ჯგუფს აქვს ფიზიკური პირებისგან მიღებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები, რომელთაგან ზოგიერთი არის საკრედიტო ხაზი. ზოგიერთ სესხთან დაკავშირებით არ არსებობს ვადის გაგრძელების შესახებ წერილობითი შეთანხმება მხარეებს შორის. ჯგუფი განაგრძობს პროცენტის გადახდას, ხოლო კრედიტორი იღებს აღნიშნულ გადახდებს ყოველგვარი სამართლებრივი პრეტენზიის გარეშე. მსგავსი სესხები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი სესხები.

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიღებული სესხები (გაგრძელება)

მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიღებული სესხების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შემდეგია:

	2024	2023
წლის საწყისი ნაშთი	(4,765,536)	(4,064,119)
ფულადი ტრანზაქციები		
სესხის მიღება	(13,021,669)	(4,736,840)
სესხის ძირის გადახდა	6,067,918	3,954,257
სესხის პროცენტის დარიცხვა	(769,351)	(612,338)
არა ფულადი ტრანზაქციები		
დარიცხული პროცენტის გადახდა	689,188	610,828
საკურსო სხვაობის ეფექტი	(438,513)	82,676
წლის საბოლოო ნაშთი	(12,237,963)	(4,765,536)

14. მიღებული ავანსები

ჯგუფის მიღებული ავანსები შედგება კლიენტებისგან პროდუქციის გადაცემისთვის ავანსად გადახდილი თანხებისგან, საიდანაც ძირითადი ნაწილი შედგება ერთი კონტრაგენტისგან მიღებული ავანსისგან, ხელშეკრულების ფარგლებში პროდუქციის ეტაპობრივი მიწოდების საფუძველზე, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 2,179,419 ლარს, ხოლო 2023 წლის დეკემბრისთვის 2,386,926 ლარს.

15. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა

საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივები წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ერთიანი ანგარიშის გამოყენებით. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს წმინდა საგადასახადო ვალდებულებები 105,006 ლარის და 78,667 ლარის ოდენობით შესაბამისად.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
უცხოელი მომწოდებლები	5,765,093	5,413,588
ადგილობრივი მომწოდებლები	1,665,470	321,983
გადასახდელი ხელფასები	41,339	51,236
სხვა ვალდებულებები	50,299	19,846
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	7,522,201	5,806,653

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას მარაგების მომწოდებლების და სერვისების მომწოდებლების მიმართ კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებზე ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 26-ში. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის მიმდინარე.

17. კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია მისი შევსების მიხედვით. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა 200 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი. ჯგუფს 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის გამოცხადებული და გაცემული აქვს 1,380,806 და 299,281 ლარის დივიდენდი შესაბამისად.

შპს „კორეან ელექტრონიკსი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. ამონაგები

კომპანიის ამონაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციიდან	33,259,831	16,799,974
შემოსავალი სამომხმარებლო ტექნიკის რეალიზაციიდან	18,272,045	9,596,176
შემოსავალი წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციიდან	5,688,932	2,040,542
სხვა შემოსავალი წვრილი მოწყობილობებისგან	2,338,782	1,308,402
სხვა შემოსავალი	110,939	118,235
უკან დაბრუნება	(683,969)	(731,365)
სულ ამონაგები:	58,986,560	29,131,964

ჯგუფი რეალიზაციას ახორციელებს როგორც საბითუმო, ასევე საცალო მაღაზიების მეშვეობით, რომლებიც განთავსებულია საქართველოს მასშტაბით. კომპანიის შემოსავლები წარმოდგენილია ფასდათმობების და უკან დაბრუნებების გათვალისწინებით.

19. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის თვითღირებულება	29,367,164	14,208,623
სამომხმარებლო ტექნიკის თვითღირებულება	15,928,857	8,365,583
წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის თვითღირებულება	4,540,543	1,508,505
სხვა ხარჯი წვრილი მოწყობილობებისგან	1,828,766	1,048,742
სხვ ხარჯი	154,268	115,425
უკან დაბრუნებული საქონელის თვითღირებულება	(575,790)	(614,326)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:	51,243,808	24,632,552

20. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი

ჯგუფის მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
როიალტის ხარჯი	428,170	349,931
ხელფასების ხარჯი	377,191	286,053
გადაზიდვის ხარჯები	312,267	194,757
საიჯარო ქირა	219,155	223,677
საშუამავლო ხარჯები	212,474	29,262
საწვავის ხარჯი	39,944	12,269
ავტომობილის რემონტის ხარჯები	14,881	6,436
ავტომობილების ცვეთის ხარჯი	16,824	6,940
ტექნიკის პროგრამული ინსტალაცია	1,084	60,801
დისტრიბუციის სხვა ხარჯები	59,210	27,655
სულ მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი:	1,681,200	1,197,781

საშუამავლო ხარჯები შედგება სადილერო კომპანიების თანამშრომლების მიერ შპს „კორეან ელექტრონიკსის“ პროდუქციის რეალიზაციით გამოიმუშავებული ანაზღაურებისგან, რომლის პირობები რეგულირდება მენარდების ხელშეკრულებებით. 2023 წელს ჯგუფი იყო „ჰიუნდაი“ ბრენდის ექსკლუზიური წარმომადგენელი, 2024 წელს კი ჯგუფს დაემატა „აკაი“ ბრენდიც.

შპს „კორეან ელექტრონიკსი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ხელფასების ხარჯი	256,690	273,774
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	13,551	21,244
მივლინების ხარჯი	56,021	71,295
წარმომადგენლობითი ხარჯი	37,313	27,113
ბანკის საკომისიოს ხარჯი	35,384	24,975
პლასტიკური ბარათების ხარჯი	33,453	20,503
ცვეთის ხარჯი	36,534	42,289
კომუნალურის ხარჯი	19,515	18,289
დაზღვევის ხარჯი	11,778	5,837
საიჯარო ქირის ხარჯი	1,366	3,221
სხვა ხარჯები	102,665	50,102
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი:	604,270	558,642

22. არასაოპერაციო ხარჯი

ჯგუფის არასაოპერაციო ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ინკოტერმის პირობებით გათვალისწინებული ხარჯი	-	406,701
მარაგების რეზერვი	97,614	136,001
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10,778	292
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი:	108,392	542,994

ჯგუფს 2023 წელს ქონდა ინკოტერმის პირობებით გათვალისწინებული ხარჯი 406,701 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა მოიცავს საქონლის ღირებულებასა და საზღვაო გადაზიდვის საფასურს დანიშნულების პორტამდე, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო ვაჭრობის ინკოტერმის წესებით (CFR – Cost and Freight).

23. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი)

ჯგუფის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი) 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
დადებითი საკურსო სხვაობა	1,094,050	932,473
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(1,666,705)	(929,790)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი:	(572,655)	2,683

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,557	(113,688)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(36,390)	28,642
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(123,309)	5,053
მირებული სესხები	(438,513)	82,676
სულ კურსთაშორის სხვაობა, წმინდა:	(572,655)	2,683

24. მოგების გადასახადის ხარჯი

ჯგუფი მოგების გადასახადს დივიდენდის გაცემისას ამცირებს გაუნაწილებელი მოგებიდან. ჯგუფს 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის გამოცხადებული და გაცემული აქვს 1,380,607 და 299,482 ლარის დივიდენდი, შესაბამისად მოგების გადასახადი არის 207,121 ლარი და 44,954 ლარი.

25. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ჯგუფს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	2024	2023
ამონაგები	39,340,612	17,345,013
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(35,846,854)	(15,249,351)
მარაგების შესყიდვა	(771,163)	(135,901)
საპროცენტო ხარჯი	(41,490)	(1,027)

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,435,096	5,089,305
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(936)	-
მიღებული სესხები	(3,581,127)	(168,166)

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2024	2023
ხელმძღვანელობის და მმართველი რგოლის შრომის ანაზღაურება	90,056	158,032

27. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 31 ოქტომბერს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარე.

შპს „კორეან ელექტრონიკსი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 31 ოქტომბერს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარე.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
გიორგი ქიძინიძე
თბილისი, საქართველო
31 ოქტომბერი 2025



შპს „კორეან ელექტრონიქსი“

კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	28
საქმიანობის მიმოხილვა.....	28
ძირითადი რისკები	29
ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები	29

ზოგადი ინფორმაცია

შპს „კორეან ელექტრონიკსი“ (შემდგომში „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2017 წლის 04 სექტემბერს დაფუძნდა და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვ. X, კორ. "ჟ", ფართი N2ა, 239.00 კვ.მ.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „კორეან ელექტრონიკსი“-ს დამფუძნებელი და 100 %-იანი წილის მფლობელი არის გიორგი ქიძინიძე (პ/ნ 01008048773).

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა ელექტრონული საყოფაცხოვრებო ტექნიკით. შპს კორეან ელექტრონიკსი წარმოადგენს ამიერკავკასიაში HYUNDAI -ის ბრენდის, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში AKAI-ის ბრენდის საყოფაცხოვრებო ტექნიკის ექსკლუზიურ დისტრიბუტორს.

ჯგუფის კაპიტალი შედგება დამფუძნებლის საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, ჯგუფს არ შეუცვლია კაპიტალის სტრუქტურა 2024 წელს, ჯგუფს არ მოუხდენია საკუთარი აქციების შესყიდვა.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი შემდეგ შვილობილ საწარმოს ფლობს:

შვილობილი საწარმო	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს რეალთი ჯორჯია	100%	100%

ჯგუფი ამზადებს კომპანიის და მისი შვილობილის კონსოლიდირებულ მმართველობით ფინანსურ ანგარიშგებას, რომელსაც ასაჯაროვებს.

ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ

ჯგუფს 2024 წლის განმავლობაში საქმიანობას ეწეოდა თბილისსა და ბათუმში საოპერაციო იჯარის ფარგლებში სარგებლობის უფლებით მიღებულ სავაჭრო ფართებში. ჯგუფი ოპერირებს ერთი საცალო ფილიალისა და სასაწყობო ფართების საშუალებით, რომელიც სთავაზობს მომხმარებლებს საყოფაცხოვრებო ტექნიკის მრავალფეროვან არჩევანს.

ქ. თბილისში მდებარე განთავსებულია სავაჭრო ცენტრში - "თბილისი მოლი", რომლის მისამართია თბილისი/ვაკე-საბურთალო/აღმაშენებლის ხეივანი მე-16კმ. ჯგუფი ასევე დაკავებულია ონლაინ გაყიდვებითაც.

ინფორმაცია ჯგუფის დასაქმებულების შესახებ

2024 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა ჯგუფში შეადგენდა 15 ადამიანს.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფის სტრატეგიული ამოცანაა კიდევ უფრო გაზარდოს საქონლის ასორტიმენტი და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის განვითარებისა და მიზნების განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით არსებული სტაბილურობის შენარჩუნება.

ჯგუფის მოზიდული სახსრები არის სესხი ადგილობრივ ბანკში.

ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური და არა კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	18	58,986,560	29,131,964
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19	(51,243,808)	(24,632,552)
საერთო მოგება		7,742,752	4,499,412
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	20	(1,681,200)	(1,197,781)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21	(604,270)	(558,642)
საოპერაციო მოგება		5,457,282	2,742,989
არასაოპერაციო ხარჯი	22	(108,392)	(542,994)
არასაოპერაციო შემოსავალი		14,003	231
საპროცენტო შემოსავალი	9	15,839	223
საპროცენტო ხარჯი	12	(769,351)	(612,338)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	23	(572,655)	2,683
მოგება დაბეგვრამდე		4,036,726	1,590,794
მოგების გადასახადის ხარჯი	24	-	-
წლის წმინდა მოგება		4,036,726	1,590,794
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,036,726	1,590,794

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
გრძელვადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	311,508	264,435	286,530
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,261,120	5,859,591	5,715,673
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7	1,844,265	1,928,865	109,954
მარაგები	8	14,161,965	5,662,280	2,515,694
გაცემული სესხები	9	212,017	55,371	-
სულ მიმდინარე აქტივები		21,790,875	13,770,542	8,627,851
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	338,496	293,818	266,449
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	11	9,334,709	4,204,146	3,404,146
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,673,205	4,497,964	3,670,595
სულ აქტივები		31,464,080	18,268,506	12,298,446
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	12	7,254,481	1,574,664	1,642,867
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	1,634,366	101,519	364,207
მიღებული ავანსები	14	2,179,419	2,386,926	270,192
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	15	105,006	78,667	166,542
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	7,522,201	5,806,653	3,595,694
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,695,473	9,948,429	6,039,502
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	4,983,482	3,190,872	2,421,252
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,983,482	3,190,872	2,421,252
სულ ვალდებულებები		23,678,955	13,139,301	8,460,754
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	17	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		7,784,925	5,129,005	3,837,492
სულ კაპიტალი		7,785,125	5,129,205	3,837,692
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		31,464,080	18,268,506	12,298,446

ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	13%	15%
წმინდა მოგების მარჟა	7%	5%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.16	1.39
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	5	6

გიორგი ქიძინიძე

31 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	13%	15%
წმინდა მოგების მარჟა	7%	5%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.16	1.39
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	5	6

გორგი ქიძინიძე

31 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

